



საქართველოს ქართულგენია

ბამონის 1992 წლის იანვრიდან


№25 (71), დეკემბერი 2019 წელი

ქორეოლოგია – ქორეოგრაფია – საზოგადოება – თბილისის ორბანიზაცია შანი 2 ლარი

საქართველოს ქორეოგრაფიულ კანონებს 2020 წლის შემოქმედებებს უდრეფს სხუდინდ საქართველოს, შემოქმედებით კანონებს და გვარდინებებს, ყველ ხედოვანს, შრომით და გვარდინით გვარდინებებს, სხუდინებებს, მოსწოდებ-ახდებინებებს, აქტიურ შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმულ ჩვენს კრეატებს და ქვეყნის სიყვარულით გვარდინებებს მოწოდებს.

ფუნდინი, ხედავინი და წინაშეგებული ყოფინი 2020 წელი ჩვენი სანდინობისა.

კახეთი და კახეთში ეთნოგრაფიული ქორეოგრაფია



ოლეგ ალავილი

რედაქტორის გვარდინი

დინტერესებულ მკითხველს უთუოდ ეხსომება, რომ ჩვენი პროფესიული გაზეთის წინა ნომერში, გაცხადდა სარედაქციო კოლეგიის ახლებური მიდგომა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამერიიდან პუბლიკაციების ძირითადი თემა ცალკეული რეგიონების ისტორია და აქ მოღვაწე ჯგუფების ქორეოგრაფიული წარსული თუ დღევანდელი იქნებოდა. ბუნებრივია, ეს იმას სრულიად არ ნიშნავდა და არც დღეს ნიშნავს, რომ გაზეთის გვერდებზე სხვა რეგიონებში დასაქმებული კოლეგების ან თუნდაც აქ მოღვაწე პიროვნებების შესახებ საუბარი იკრძალებოდა. ჩვენ ამგვარი მიდგომისაგან შორს ვართ და ეს კარგად ჩანს გაზეთის პირველსავე ნომერში, რომელიც დედაქალაქ თბილისში არსებულ ვითარებას მიეძღვნა, თუმცა უარი არც სხვა მხარის წარმომადგენელთა საქმიანობის გაშუქებაზე გვითქვამს. ახლა ვერი კახეთის რეგიონზე მიდგა.

საისტორიო წყაროებში, მოგზაურთა ჩანაწერებსა თუ სხვა მსგავს დოკუმენტებზე დაყრდნობით, კახეთის ანუ კახეთის სამეფოს უზოგადესი ისტორია დაახლოებით ასეთნაირად გამოიყურება: მისი შექმნის ხანა XV-XVIII საუკუნეები. სწორედ ამ დროისათვის ხდება საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლა, რასაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამყარებით.

კახეთის სამეფოს წარმოშობის ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1466 წელი. სწორედ ამ დროისათვის კახეთში გამეფდა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII. მან საფუძველი დაუდო კახეთში ბატონობის სამეფო შტოს დინასტიურ მმართველობას. ასე გაგრძელდა 1762 წლამდე, როდესაც მეფე ერეკლე II სამართავად მემკვიდრეობით მიიღო ქართლ-კახეთის სამეფო და გახდა ქართლ-კახეთის მეფე.

კახეთის სამეფო ძირითადად მოქცეული იყო მდ. არაგვს (დასავლეთი მხარე) და მტკვარს შორის, თუმცა, იყო პერიოდები, როდესაც მისი ჩრდილო კონტური მტკიცედ ეზღინებოდა კავკასიონის ქედს, ხოლო პერიოდულად იგი მიემართებოდა პირიქითა ხევისურეთისა და თუშეთის მხარეს, ზოგჯერ კი, კავკასიონის გადაღმაც გადადიოდა...

კახეთის სამეფოს დედაქალაქი თავდაპირველად გრემი იყო. თუმცა, შაჰ-აბა-

გრიგოლით მსოფლიოს გარემო
გვ. 2

ანსამბლი „ივარია“
გვ. 3

„იმალი“
გვ. 4-5

„კრანისი“
გვ. 6

ანსამბლი „კერატი“
გვ. 7

„ივარიელები“
გვ. 8-9

„ილიალი“
გვ. 10

**ავთანდილ სურგანიძე – შემოქმედებითი
მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი
საიუბილეო საღამო**
გვ. 11

პასუხგასაცხავი კითხვები
გვ. 12

133

სის მიერ გრემ-ქალაქის გა-
ნადგურების შემდეგ, XVII
საუკუნის მიწურულიდან,
ამ ფუნქციას საკუთარ თავზე თელავი
იღებს.

ისევე როგორც საქართველოს სხვა ძი-
რძველი კუთხეების ისტორიული ყოველ-
დღიურობა, კახეთის სამეფოს ყოველ-
დღიურობისათვის უცხო არ იყო შინაშ-
ლილობა, ცალკეული გვარების და მათ-
თან დაკავშირებული წარჩინებულების
ბრძოლა დანაწილებისათვის, შესაბამი-
სად – შფოთი და არეულობანი.

კახეთის სამეფოს ისტორიას ამ თვალ-
საზრისით ქმნიდნენ ჩოლოყაშვილები,
ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯან-
დიერები, ჭავჭავაძეები, ვახვახიშვილები
და სხვანი, რომელთაც მოჰყვებოდნენ
დიდი აზნაურები, საეკლესიო მოღვაწენი
და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა
ფენის ადამიანები. კახეთის მხარეში თა-
ვიდანვე ფართოდ იყო გავრცელებული
მემარცვლეობა, მევენახეობა, მესაქონ-
ლეობა (ძირითადად მეცხვარეობა). ეს
იყო სიმდიდრის დაგროვებისა და დანი-
წაურების უმთავრესი საშუალება. ყოვე-

ლივე ამას ემატებოდა საეკლესიო (მართ-
ლმადიდებლური) ტრადიციები, ნათესაო-
ბა-მოყვრობის წესი, რამაც თავისი ასახვა
ჰპოვა კულტურული ცხოვრების ყოველ-
დღიურობაში.

კახეთს, ბუნებრივია არასოდეს და-
ჰკლებია მეზობელ-მეგობარ, მტერ-მო-
კეთე, თუმცა, სრულიად გაუგებარი და
ძნელად ასახსნელია მუსიკალურ-სა-
სიმღერო თუ საცეკვაო კულტურის იმ
ვარიანტების გამოჩენა, რომელიც აღ-
ნიშნულ რეალობაში გაჩნდა და ტრადი-
ციული ცხოვრების წესსაც შეეზარდა.
მის სამეზობლოში, შორეულ თუ ახლო
ქვეყნებში არაფერი მსგავსი არ ხდებ-
ოდა. შეიძლება ივარაუდო, რომ რაღაც
ელემენტები ამ კულტურისა შეიძლება
აღებულ იყოს შორეულ ურარტუში, ასუ-
რულ-ბაბილონურ ან კიდევ თრიალეთის
ზეგანზე მცხოვრები ბოლომდე უცნობი
ხალხის კულტურულ ყოფაში, თუმცა,
ყოველივე ამის მთლიანობაში გაანა-
ლიზება და დეტალური გააზრება, მით
უფრო გაზიარება, სადღესოდ არსები-
თად შეუძლებელია. ის, რაც კახეთიდან
ჩვენამდე მოვიდა და რასაც დღეს ბევრი

მიმოვისებელი ჰყავს, მთლიანად შექმნი-
ლია მიწათმოქმედი, ტრადიციული ყოფის
პატივისმცემი მართლმადიდებელი ხა-
ლხის მიერ და ეს უკანასკნელი სწორედ
კახური ეთნოსის შეილები, გულნათელ
ქართველთა შთამომავალნი არიან.

ისტორიამ ასე განსაჯა, რომ XV-XVI
საუკუნეების მიჯნაზე კახეთის სამეფომ
ურთიერთობა დაამყარა რუსეთის სახელ-
მწიფოსთან. ისტორიულ-სამეცნიერო
თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი ნა-
ბიჯი გამოდგა, თუმცა, კულტურული
გადასახედიდან ქართულ რეალობას არც
აქედან შეეძლო რაიმე სერიოზულის სწა-
ვლა და მიღება.

თვისებრივად ახალი ეტაპი სრულიად
ქართულ, მათ შორის კახურ საცეკვაო
ტრადიციებში იწყება მეფე ერეკლე II და
მისი შთამომავლების მიერ რუსეთთან სა-
ქვემდებარეობაში ხელშეკრულების გაფორ-
მების, საბოლოოდ კი, საბჭოთა წყობილე-
ბის გამოჩენის შემდეგ.

ეს არის პერიოდი, როდესაც ქვეყნის
მასშტაბით იქმნება სტუდიები, ანსამ-
ბლები, სასწავლებლები, იზრდება პრო-
ფესიონალ ქორეოგრაფთა თაობები...

სწორედ მათი რიგებიდანაა გამოსულ-
გამოზრდილი კახეთის რეგიონში მოღ-
ვანე ისეთი შემოქმედი პიროვნებები,
როგორებიც იყვნენ: **ნასყიდა ოქრუაშ-
ვილი, გოგი ოქრუაშვილი, ომარ ფეი-
ქრიშვილი, ანზორ ქვეციშვილი, ზაქრო
მურველაშვილი, მირიან თვალაშვილი...**
კახეთის რეგიონის ქორეოგრაფიულ ყო-
ფას და მის საქმიანობას დღეისათვის
წარმატებულად უძღვება ახალგაზრდა
ქორეოგრაფი **მიხილ ჯიდალიშვილი**.
მას გვერდს უმშვენებენ ღირსეული პი-
როვნებები: **ანზორ სულხანიშვილი, მამა-
შვილი გურგენიძეები, ამირან არჩვაძე,
სოსო ფუტყარაძე, ივანე ფეიქრიშვილი,
გია ხუციშვილი...**

მიუხედავად დიდი სურვილისა, ყველას
ჩამოთვლა ამჯერად ვერ ხერხდება. იმედი
გვაქვს, ამის დროც მოვა და ქართველი
მკითხველი კახეთის მასშტაბით მოღვაწე
ყველა ღირსეულ ქორეოგრაფს, მათს სა-
ქმიანობას და შემოქმედებით მიღწევებს
კიდევ უფრო ახლოს გაეცნობა.

ოლგა ალავიძე,
პროფესორი

ტრიუმფით მსოფლიოს ბარშემო

1984 წლის 25 ოქტომბერს, თბილისის
სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში,
ბადრი მაჭავარიანისა და მისი მეგობრების
(ამავე ინსტიტუტის სტუდენტები) ინიცია-

მარე თ. სუხიშვილი); 2000 წელს, ხალხური
შემოქმედების საქალაქო ოლიმპიადაში
მიღწეული წარმატებისათვის ანსამბლი
დაჯილდოვდა საპატიო სიგელით (ქ. თბი-

ახალგაზრდობის სამინისტრომ და კომპე-
ტენტურმა ჟიურიმ ანსამბლს მიანიჭა საპა-
ტიო „საუკეთესო ანსამბლის“ წოდება.

2014 წელს, საქართველოს სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრომ და
კომპეტენტურმა ჟიურიმ კოლექტივს გა-
დასცა პრიზი „საუკეთესო შესრულებისა-
თვის“.

ამავე წელს, საქართველოს ქორეოგრა-
ფიის მოღვაწეთა შემოქმედებითა კავშირმა,
ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარე-
ბაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავში-
რის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობი-
სათვის, ბადრი მაჭავარიანი დააჯილდოვა
საქართველოს ქორეოგრაფიის „ამაგდარის“
ორდენით.

2019 წლის მარტი განსაკუთრებული იყო
თსსუ-ს ცხოვრებაში. ანსამბლმა წარმატებუ-
ლი საგასტროლო ტურნი გამართა აშშ-ში,
ქ. ატლანტაში. ამავე წელს, ზემოთ აღნიშ-
ნულმა კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო
სტუდენტურ ფესტივალში, სადაც საქარ-
თველოს მასშტაბით მოქმედი 32 უმაღლესი
სასწავლებლის ანსამბლი მონაწილეობდა
და ღირსეულად მოიპოვა „საუკეთესო ან-
სამბლის“ წოდება.

ევროპის ქვეყნებში საგასტროლო მოგ-
ზაურობის დროს, ანსამბლი კონცერტებს
მართავს საქვეყნოდ ცნობილ და უნიკა-
ლურ თეატრებში: იტალია – ქ. პოტენცას
თეატრი, სიცილიაზე – ქ. აგრეჯენტოს
„კონგრესის დარბაზი“, ანტიკური „თანხმო-
ბის თეატრი“, მოსკოვის სტანისლავსკისა და
ნემიროვიჩ დანჩენკოს მუსიკალური თეა-
ტრები, ინგლისში მიდდელსბროუგის თეა-
ტრი და სხვა.

თსსუ-ის სახალხო ანსამბლში მოცეკვა-
ვებისა და მომღერლების არაერთი ღირ-
სეული თაობა აღიზარდა, რომლებმაც
შემდეგ წარმატებით გააგრძელეს მუშაო-

ბა სხვადასხვა აკადემიურ სიმღერისა და
ცეკვის ანსამბლებში. აღნიშნულ კოლექ-
ტივში შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდ-
ნენ ანსამბლების: „ფაზისის“, „რუსთავის“,
„ერისიონის“, „თბილისის“, „ქართული ხმე-
ბის“, „ალილოსა“ და „ურმულის“ წევრები;
შეიქმნა ვაჟთა გუნდი „ფესვები“ და ანსამ-
ბლი „შიდკაცა“.

სამედიცინო უნივერსიტეტის შესანიშნავი
ანსამბლის ხელმძღვანელი გახლავთ თსსუ-ს
კულტურის ცენტრის დირექტორი, ასოცია-
ცია „ქართული ეროვნული კულტურა“-ს
პრეზიდენტი, საქართველოს ქორეო-
გრაფიის „ამაგდარის“ ორდენის კავალერი,
იტალიის კულტურის პრემიის მფლობელი,
ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალე-
ბის ლაურეატი **ბადრი მაჭავარიანი**; მთავა-
რი ქორეოგრაფი – ლეგენდარული „სუხიშ-
ვილების“ ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე-
მსახიობი, „ღირსების“ ორდენის კავალერი
დავით უგრეხელიძე, ქორეოგრაფი – ერო-
ვნული და საერთაშორისო ფესტივალეების
ლაურეატი **ინეზა კუპრეიშვილი**, ლოტბარი
– ეროვნული და საერთაშორისო ფესტი-
ვალეების ლაურეატი **ირაკლი რატიანი**; ხა-
ლხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელი
– ეროვნული და საერთაშორისო ფესტივა-
ლების ლაურეატი **დავით რატიანი**.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არ-
სებულ სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამ-
ბლს 25 ოქტომბერს დაარსებიდან 35 წელი
შეუსრულდა. საქართველოს ქორეოგრაფთა
კავშირი ანსამბლის ხელმძღვანელებს და
მთელ შემოქმედებით დასს გულითადად
ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს,
უსურვებს თითოეულ მათგანს დიდხანს
სიცოცხლეს, შემოქმედებით წინსვლას და
წარმატებებს პირად და კარიერულ ცხოვრე-
ბაში.**



ტივით დაარსდა სიმღერისა და ცეკვის
სახალხო ანსამბლი, რომელიც დაარსების
დღიდან აქტიურად ჩაერთო საქალაქო თუ
უნივერსიტეტის მასშტაბით ჩატარებულ
არაერთ ღონისძიებაში და რამდენიმე წარ-
მატებული სოლო კონცერტზე გამართა.

1986 წელი, განსაკუთრებული იყო ზე-
მოთ აღნიშნული კოლექტივისათვის – თბი-
ლისში გამართულ სტუდენტურ დღეებზე
ანსამბლს გადასცეს ილიკო სუხიშვილის
სახელობის პრიზი „საუკეთესო ქორეოგრა-
ფიისათვის“.

ანსამბლის მესვეურებისა და მოცეკვა-
ვების დაუღალავმა შრომამ შედეგი მალე
გამოიღო და 1989 წელს პირველი წარმა-
ტებული საგასტროლო მოგზაურობა შედგა
პოლონეთში. სხვადასხვა დროს, ანსამბლმა
ტრიუმფით შემოიარა თითქმის მთელი მსო-
ფლიო: იტალია, ბელგია, ესპანეთი, გერმა-
ნია, საბერძნეთი, რუსეთი, ჩეხოსლოვაკია,
პორტუგალია, საფრანგეთი, შვეიცარია,
ინგლისი...ანსამბლმა, იტალიაში, 17-ჯერ
მიიღო მონაწილეობა ევროპისა თუ მსო-
ფლიო ფესტივალებში.

1994 წელს, საქართველოს კულტურის
სამინისტრომ ანსამბლს მიანიჭა საპატიო
„სახალხო ანსამბლის“ წოდება; 1996 წელს,
იტალიაში, საერთაშორისო ფოლკლორულ
ფესტივალზე, ანსამბლს მიენიჭა „საუ-
კეთესო ანსამბლის“ წოდება; 1998 წელს
ქართული ეროვნული II ქორეოგრაფიული
ფესტივალის ჟიურიმ ანსამბლს საპატიო
მე-3 ადგილი გადასცა (ჟიურის თავმჯდო-

ლისის კულტურის სამსახურის უფროსი დ.
ოქიტიშვილი); 2001 წელს ჩეხოსლოვაკია-
ში, ამერიკის რადიო „თავისუფლების ხმა“
სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ზემოაღ-
ნიშნული კოლექტივის ევროპაში გამოს-
ვლებს. 2003 წელს ანსამბლი წარდგინდა
იქნა „წინანდლის“ პრემიაზე ნომინანტად.

2004 წელს, იტალიაში, სარდინიაზე, ქ.
ნუოროში „საერთაშორისო, ევროპული
ფოლკლორული ხელოვნება და ხალხთა
კულტურა“-ს ფესტივალი, ბატონ ბა-
დრი მაჭავარიანს აჯილდოვებს პრემიით,
როგორც სახალხო ანსამბლ „ქართული
ფოლკლორის“ ხელმძღვანელს (საქართვე-
ლო), ხალხური კულტურისა და მისი იდე-
ტურობის დაცვისათვის, არსებული ვალ-
დებულებების შესრულებისათვის, მაღალი
კომპეტენციისა და მსოფლიოში ხალხური
ტრადიციების შენარჩუნებისათვის.

თსსუ-ის სახალხო ანსამბლს მოპოვე-
ბული აქვს 7 მთავარი პრიზი, 3 ოქროს მე-
დალი, ევროპარლამენტის ეგიდით ჩატარე-
ბული ფესტივალის დიპლომი, „საუკეთესო
ანსამბლის“ წოდება (იტალია – 1996 წ. სა-
ქართველო – 2013 წ.).

2010 წლის ოქტომბრის თვეში „რედი-
სონი SAS ივერიის“ სასტუმროში, ეროვნუ-
ლი ფოლკლორული ფესტივალის უცხოელ
სტუმართა ჟიურიმ, ანსამბლს მიანიჭა სა-
პატიო ტიტული „რედისონი SAS ივერიის“
ვარსკვლავი ეროვნული იდეალების ერ-
თგულებისა და პროფესიონალიზმისათვის.
2013 წელს, საქართველოს სპორტისა და



ანსამბლი „ივერია“



არიან ადამიანები, რომელთა საქმიანობა განუზომლად ამაყვებს ჩვენს ყოველდღიურობას. ამის გამო, რომ მათი გარდაცვალება და

„კოლხიდარის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. ბატონ გივის დამსახურებულად აქვს მიღებული არაერთი საპატიო ჯილდო და წოდება: გახლავთ რუსეთის კულტურის დამსახურებული და რუსეთის განათლების საპატიო მუშაკი, აჭარის დამსახურებული არტისტი, წმინდა ნინოსა და ქართული ქორეოგრაფიის „რაინდის“ ორდენების კავალერი; დედა – ზეინაბ საბანაძე, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საპოვენელს“.

ოჯახურ ტრადიციას არც ვახ-



მოზდა ეროვნული ტრადიციების, საცეკვაო ფოლკლორის სინდისი, ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების დაცვა-პოპულარიზაციის საქმეს. „ივერიელები“ იმთავითვე გამოირჩეოდნენ უმაღლესი სასცენო დისციპლინით, საუკეთესო სამემსრულებლო დონით და საუკეთესო სასცენო კოსტიუმების ნაკრებით.

აღსანიშნავია ანსამბლის მიერ ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მოპოვებული მრავალი წარმატება, რისი დასტურიცაა სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსში მოპოვებული არაერთი საპატიო ჯილდო, დიპლომი და ლაურეატის წოდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგასტროლო ტურნე ესპანეთში, ქ. ლორეტ დე მარში, მსოფლიო ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე „მზე და ზღვა“, სადაც „ივერია“ პირველი ადგილი,

რობდა და საქართველოს საამაყო ქართველ მოცეკვავეებს უზრდოდა.

ზღვა ცრემლითა და მწუხარებით გააცილეს უკანასკნელ გზაზე ბატონი ვახტანგი – საზოგადოების ღირსეული წევრი, უზადო

საპატიო წოდებებითა და მედლებით. აღნიშნული ჯილდო, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირს ჯერ კიდევ ბატონი ვახტანგის სიცოცხლეშივე ჰქონდა გადასაცემად მომზადებული, მაგრამ მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ



ამ ქვეყნიდან წასვლა უდიდეს ტკივილად განიცდება ადამიანების მიერ. სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა ვახტანგ ციმაკურიძე – წარმატებული ქორეოგრა-

ტანგმა უღალატა და სწავლა განაგრძო თბილისის სერგო ზაქარაიძის სახელობის კულტურის სახელმწიფო სასწავლებლის ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე, რომლის

ხელოვანი, კარგი შვილი, ოჯახის თავკაცი, კარგი მამა და ერთგული მეგობარი.

სიამაყით უნდა ითქვას, რომ დღეს ანსამბლი „ივერია“, წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას – ანსამბლის მუშაობას ღირსეულად უძღვება საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდო-

ამ საქმეს ხელი შეუშალა. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, ანსამბლ „ივერიას“ მიენიჭა ვახტანგ ციმაკურიძის სახელი.

„ივერიის“ ხელმძღვანელობა დიდ მადლობას უხდის საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირს, ახალგორის მუნიციპალიტეტის



ფი, საზოგადოების ღირსეული წევრი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას მოახმარა.

ვახტანგ ციმაკურიძე დაიბადა 1970 წლის 10 ოქტომბერს ქ.ჭიათურაში. ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სიყვავ-

წარმატებით დამთავრების შემდეგ, ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. პარალელურად, წარმატებით ცეკვავდა ანსამბლ „როკვაშიც“.

ვახტანგ ციმაკურიძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, შემოქმედებითი ნიჭი და ზღვა ენერგია, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას მოახმარა. ჯერ კიდევ 2006 წელს, დაბა ახალგორში აარსებს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ივერია“, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ნეოვანის დევნილთა დასახლებაში, ნ. ფსუტურის სახელობის კულტურის სახლში აგრძელებს ფუნქციონირებას.

ახალგაზრდა, ნიჭიერი ქორეოგრაფის დაუღალავმა შრომამ ნაყოფი მალე გამოიღო და „ივერია“ მოწინავე ანსამბლების რიგებში ჩადგა. ბატონი ვახტანგი, დღიდან ანსამბლის დაარსებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთ-

მიღწეულის ბროლი და გრავირებული პრიზი დამსახურა; ლაურეატის წოდება მოიპოვა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში „პულსაკარ ბელედისის“ ინტერნაციონალური ფოლკლორული ცეკვების ფესტივალზე.

ვახტანგ ციმაკურიძის მიზანი, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების კრედიტო, ახალგაზრდების ქემარიტ ქართულ ხელოვნებასთან, კულტურასა და ტრადიციებთან ზიარება იყო; მათთან ერთად ხა-

მარის მოადგილე, თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე კახაბერ მარკოიშვილი. „ივერიელები“ კვლავაც ჩვეული წარმატებით გამოდიან სარაიონო თუ ქვეყნის შიგნით დაგეგმილ ღონისძიებებზე.

ვახტანგ ციმაკურიძე გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა საქართველოს მწერალთა კავშირის „ქართული კულტურის ამავგადრის“, ხოლო საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ „ქართული ქორეოგრაფიის ამავგადრის“

გამგეობას, საკრებულოს, კულტურის დაწესებულებების გაერთიანებებს დახმარებისა და ანსამბლის მუშაობის ღირსეულად წარმართვისათვის.

გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ანსამბლ „ივერიის“ მუშაობასა და შემოქმედებით წარმატებებს. უსურვებს მათ ხელმძღვანელებსა და თითოეულ მოცეკვავეს წინსვლას და წარმატებებს პირად და კარიერულ ცხოვრებაში.



რულს ჯერ კიდევ ბავშვობაში, საკუთარ ოჯახში ეზიარა. მამა – გივი ციმაკურიძე, მოსკოვში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლების – „კოლხიდას“, „ივერიას“ და





ქართულ ქორეოკულტურას არაერთი ნიჭიერი ხელოვანი ჰყავს, რომელთა მხრებზეც დგას ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ყოველი წარმატება და პოპულარობა. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია ცნობილ ხელოვანს, მოცეკვა-

ვესა და ქორეოგრაფს მიხეილ ჯიდალიშვილს, რომელიც უკვე 14 წელია თელავში ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედს“ წარმატებით ხელმძღვანელობს. ბატონი მიხეილი ძირძველი თელაველია. ბავშვობის წლებში ცეკვა დაიწყო მშობლიური ქალა-

„იმედი“

ქის ქორეოგრაფიულ სტუდიაში შესანიშნავი ქორეოგრაფების გოგი და ნასყიდ ოქრუაშვილები და ანზორ ქვეციშვილის ხელმძღვანელობით. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, სადაც სახელოვანი ქორეოგრაფ-პედაგოგები: გივი ლაცაბიძე (კურსის ხელმძღვანელი), კონსტანტინე მანჯგალაძე, ავთანდილ თათარაძე, ანტონ ჩიხლაძე და ჯანო ჯანიაშვილი ასწავლიდ-

ვილი. სულ მალე, „იმედი“ ერთ-ერთ გამორჩეულ ანსამბლად მოეწივნა ქორეოგრაფიულ სამყაროს. ამის დასტურია ქვეციშვილის მიხედვით თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ მრავალ ფესტივალზე მოპოვებული ლაურეატის ნოდება და გამორჩეული პრიზი, რომელიც ანსამბლმა ღირსეულად დაიმსახურა: განსაკუთრებით აღსანიშნავია 2007 წელს ილიკო სუხიშვილის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო ფილარმონიაში, სადაც „იმედი“ წარმატებით წარსდგა მაყურებლის წი-

ნაზე; ფესტივალზე „ზღვის ჰარმონია“ (2010-11-12 წ.წ.) ანსამბლმა მოიპოვა პირველი ადგილი; თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა „იმედის“ 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი; 2010 წელს, „იმედი“ შესანიშნავად წარსდგა პუბლიკის წინაშე ფესტივალ „საქართველოს ფოლკსტარზე“. ამავე წელს ანსამბლი დავით ჯავრიშვილის სახელობის პრიზის მფლობელიც გახდა. წლებია, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამ-



ნენ. სწავლის პარალელურად, ცეკვავდა შშს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მხედრულში“ ჰამლეტ კობეშვიძის ხელმძღვანელობით და თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მამულში“ ზაურ პაპიაშვილისა და თენგიზ ჯავახიშვილის პედაგოგობით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბატონი მიხეილი თელავში ბრუნდება და მუშაობას იწყებს თელავის იმ ქორეოგრაფიულ სტუდიაში, სადაც ბავშვობის წლები გაატარა.



მიხეილ ჯიდალიშვილი 2005 წელს მშობლიურ ქალაქში აარსებს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედს“, რომელსაც დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს. ანსამბლ „იმედის“ ბაზაზე მუშაობს ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიაც, სადაც მოზარდები ქართული ცეკვის ხელოვნებას წარმატებით ეუფლებიან. ბატონ მიხეილთან ერთად, წლების მანძილზე ანსამბლის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი გახლდათ შესანიშნავი ქალბატონი ლია ჩუბინაშ-





ბლი „იმედი“ წარმატებით მონაწილეობს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში: „ბრავო ომარ“, საერთაშორისო ფესტივალში – „შემოდგომის რიტმები“ (2017-18-19 წ.წ.); აღნიშნულ ფესტივალზე, 2017 წ., „იმედი“ ნასყიდ ოქრუაშვილის სახელობის პრიზის მფლობელიც გახდა; ორი წელია, აქტიურად მონაწილეობს კავშირისავე ორგანიზებულ ფესტივალში „ვიცეკვოთ ქართულად“ და სხვა. 2016 წელს, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „იმედს“ მიენიჭა სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლის წოდება.

წარმატებული გამოდგა ანსამბლის საგასტროლო ტურნეები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

„იმედმა“ სხვადასხვა წლებში მონაწილეობა მიიღო თურქეთის ქალაქებში – ალანია-სა და სიდემი გამართულ მსოფლიო ფესტივალებზე და ლაურეატის წოდება და სა-

პატიო პრიზებიც დაიმსახურა; 2018 წელს მონაწილეობდა ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ ნესებრში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „მზიანი ნაპირი“, სადაც გრან-პრის მფლობელი გახდა.

მიხეილ ჯიდალიშვილმა წელს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში – კისისხევსა და კონდოლში ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიები. ასე რომ, დღეს, იქაური მოზარდე-

ბი, ბატონი მიხეილის ხელმძღვანელობით დიდი მონდომებითა და სიხარულით ეუფლებიან ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების საფუძვლებს.

მიხეილ ჯიდალიშვილი 2016 წელს დაინიშნა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ. 2017 წელს, ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, ქართული ქორეოგრაფიული ხე-

ლოვნების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა „ბრწყინვალეების ორდენით“; 2018 წელს – საქართველოს ქორეოგრაფიის „ამაგდარის“ წოდებითა და ორდენით.

ბატონი მიხეილი ქ. თელავის მერიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფიც გახლავთ და აქაც ჩვეული შრომისმოყვარეობითა და გულმოდგინებით უძღვება საყვარელ საქ-

მეს. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი და გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ წინსვლას და წარმატებებს უსურვებს ბატონ მიხეილს, მის მიერ შექმნილ ანსამბლ „იმედს“, კისისხევისა და კონდოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიების მოცეკვავეებს. დაე, ეს ახალი 2020 წელი ყოფილიყოს მათთვის ახალი იმედებისა და წარმატებების მომტანი წელი.



„კრწანისი“



ქართული საცეკვაო ხელოვნება მრავალ გამოჩენილ და ღირსებით დაჯილდოებულ პიროვნებას იცნობს. მათ მხრებზე თაობების მიერ შექმნილი გამოცდილება და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში განუვლილი საქმიანობის

ალექსანდრე მელუა და ერასტი ველიაძე იყვნენ. სწავლის პარალელურად, ბატონი ზაზა ცეკვა-ვდა ქ. ბათუმის ენვერ ხაბაძის სახელობის ანსამბლ „ბათუმსა“ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტთან არსე-



ტირითა დაყრდნობილი. ასეთ პიროვნებათა შორის გახლავთ ზაზა მჟავანაძე, რომელიც უკვე 30 წელია ერთგულად ემსახურება ეროვნულ საცეკვაო კულტურას. ზაზა მჟავანაძე ქართული ცეკვის სიყვარულს ჯერ კიდევ ბავშვობაში, შესანიშნავი ქორეოგრაფების ამირან ინაიშვი-

ბულ ანსამბლში ჯემალ ჩიჩუას პედაგოგობით. 1993-98 წლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის №4 სკოლის ბაზაზე აყალიბებს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შეგარდენს“; ასევე მუშაობდა ბათუმის მე-20, ქობულეთისა და მალაშვილის აჭარის სხვადასხვა სკოლებში



ლისა და გრიგორ ტულუშის ხელმძღვანელობით ეზიარა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ბათუმის კულტურა-სპორტის დეპარტამენტის ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგები, ყველასათვის ცნობილი და სახელოვანი ქორეოგრაფები: ზაურ ლაზიშვილი,

ქორეოგრაფად; ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კულტურის სამსახურის მენეჯერად; ბორჯომის კულტურის სამსახურის ახალგაზრდული ანსამბლის ქორეოგრაფად. 2003 წლიდან ზაზა მჟავანაძე თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და მუშაობას იწყებს მედიცინის მუშაკთა კულტურის ცენ-



ტრში დირექტორის მოადგილედ შემოქმედებით დარგში. პარალელურად ხელმძღვანელობდა ამავე ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს; თბილისის 198-ე საჯარო სკოლასა და „მობელთა ხიდის“ დღის ცენტრში შპმ ბავშვებს ასწავლიდა ცეკვას; 2011-13 წლებში მუშაობდა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირში საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის მენეჯერად. ამ პერიოდში, ზაზა მჟავანაძე ქმნის ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულ ცენტრს, რომელსაც დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს. 2010 წელს, მისი დიდი ძალისხმევითა და მონაწილეობით, კრწანისის საჯარო სკოლის ბაზაზე ყალიბდება ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „კრწანისი“, რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი სიგელები, ლაურეატის წოდებები და პრიზები, რომლებიც ანსამბლმა წლების მანძილზე დამსახურებულად მოიპოვა.

წარმატებული იყო „კრწანისელების“ ყოველი გამოსვლა ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ფესტივალ-კონკურსებზე, სარაიონო თუ სასკოლო ღონისძიებებზე. 2012 წლიდან ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში: თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ანკარაში, მალაშვილის თურქეთში – გურმშინაში და პატიშორში გამართულ მასშტაბურ ღონისძიებებში; სომხეთის დედაქალაქ ერევანში და ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ ნესებრში გამართულ ფესტივალებში.

დღეს ანსამბლის ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია „კრწანისი“ და მოსამზადებელი ჯგუფი. ბატონ ზაზასთან ერთად, პატარა მოცეკვავეებს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სიყვარულს უწერგავს ახალგაზრდა ქორეოგრაფ-პედაგოგი გვანცა კაპანაძე. სწორედ მათი დაუღალავი შრომის შედეგია ის, რომ დღეს პატარა მოცეკვავეები აქტიურად ემზადებიან ფართო აუდიტორიის წინაშე, დიდ სცენაზე გამოსასვლელად.

ზაზა მჟავანაძე უკვე 30 წელია ერთგულად დგას ქართული კულტურის სადარაჯოზე. სხვადასხვა წლებში, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში განუვლილი დიდი წვლილისა და დამსახურებისთვის დაჯილდოვდა არაერთი საპატიო ჯილდოთი: საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, 2014 წელს გადაეცა „ქართული კულტურის დესპანის“ საპატიო წოდებებით და მედალი; 2015 წელს დაჯილდოვდა ქ. თბილისის მერიის „კულტურის ამაგ-



დარისა“ და ქორეოგრაფთა კავშირის „ამაგდარის“ ორდენებით; გახლავთ მრავალჯერ ფესტივალ-კონკურსის ლაურეატი; 2019 წლის ივლისში, კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირ „არტ-ფოლკის“ მიერ და-

გრავთა კავშირის საპატიო წევრობა მიულოცა. ბატონ ზაზას საიუბილეო 50-ე წელი გულთბილად მიულოცეს გამოჩენილმა ქართველმა ხელოვნებმა და ქორეოგრაფიული სამყაროს ღირსეულმა წარმომადგენლებმა.



ჯილდოვდა ქართული კულტურის „ალამდარის“ მედალით. ამა წლის 27 ოქტომბერს, მცხეთის კულტურის ცენტრში ჩატარდა ზაზა მჟავანაძის საიუბილეო 50-ე წლისადმი მიძღვნი-

ა ამა წლის 20 ნოემბერს, საქართველოს მუსიკალური დაჯილდოების „მეგას“ მე-20 საიუბილეო ცერემონიაზე, ზაზა მჟავანაძე ქართული ქორეოგრაფიის პოპულარიზაციაში შეტანილი



ლი ღონისძიება. საღამო ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად დაამშვენეს საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა კოლექტივებმა. ღონისძიების დასასრულს, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, ზაზა მჟავანაძე დაჯილდოვდა საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალეების“ ორდენით; სომხეთის ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარემ, გაგიკ მხითარიაძემ იუბილარს გადასცა პრიზი და სომხეთის ქორეო-

განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომითა და პრიზით.

P.S. გაზეთ „საქართველოს ქორეოგრაფიის“ სახელით, ზაზა მჟავანაძესა და ანსამბლ „კრწანისის“ ყველა მოცეკვავეს წინასწარ გვინდა მიულოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი. ვუსურვოთ უკლებლივ ყველას ჯანის სიმრთელე, დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები პირად და შემოქმედებით ცხოვრებაში.



ანსამბლი „ჰერეთი“



ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულ ქორეოგრაფიულ სამყაროს არაერთი გამორჩეულად ნიჭიერი ხელოვანი ჰყავს, რომლებმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სწორედ სცენას და საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების ჩამოყალიბება-საქმიანობას დაუკავშირეს. ასეთთა შორის

1997 წელს წარმატებით დაამთავრა. პარალელურად ცეკვავედა ლაგოდებში მოქმედ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაკვასტაში“, შესანიშნავი ქორეოგრაფების ამირან არჩვაძისა და ნოდარ ხანდოლიშვილის ხელმძღვანელობით. 2000 წელს, სწავლა განაგრძო თბილისის ექვთიმე



ნის ბავშვთა ქორეოგრაფიულ სტუდიას. 2005 წელს ლაგოდებში აყალიბებს ანსამბლ „იმედს“, რომელსაც შემდგომ სახელი შეეცვალა და „ჰერეთი“ დაერქვა.

ნეთში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე „BIM 2009“; 2017 წელს ანსამბლი კვლავ წარმატებით მოგზაურობს თურქეთში; 2018 წელს „ჰერეთი“ საბენეფიციარად

ბიან ქართული ქორეოგრაფიის „ამაგდარის“ ორდენებით; კავშირის გადნეცილებით კახა კობახიძე დაჯილდოვდა საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალე



რის უნდა დასახელდნენ კახეთის რეგიონში მოღვაწე ახალგაზრდა ქორეოგრაფები – კახა კობახიძე და სოფიო ტყემალაძე.

თავაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე ბრწყინვალე ქორეოგრაფ-პედაგოგის, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გორნის

ანსამბლის დაარსების დღიდან, კახა კობახიძეს გვერდში უდგას და მომავალ თაობას ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სიყვარულს უწერს მისი მეუღლე სოფიო ტყემალაძე, რომელიც ქართული ცეკვის სიყვარულს ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში, შესანიშნავი ქორეოგრაფ-პედაგოგის, ნოდარ ხანდოლიშვილის სკოლა-სტუდიაში ეზიარა.



ამავე სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მშობლიური რაიონის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტზე, რომელიც

დას“ ხელმძღვანელის ბესიკ სვანიძის პედაგოგობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ბატონი კახა, ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის ბაზაზე ხს-

ქალბატონმა სოფიომ დაამთავრა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2006 წლიდან, ჯერ ანსამბლ „იმედში“, ხოლო შემდეგ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ჰერეთში“ იწყებს ქორეოგრაფ-რეპეტიტორად მუშაობს. ბატონი კახასა და ქალბატონი სოფიოს თავდაუზოგავ შრომას უშედეგოდ ნამდვილად არ ჩაუვლია – „ჰერეთი“ სულ მალე ჩადგა თვალსაჩინო ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების რიგებში.

რძნეთში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში იღებს მონაწილეობას და სამშობლოში ლაურეატის ნოდების

„ჰერეთის“ ორდენით, ხოლო ანსამბლ „ჰერეთს“ მიენიჭა სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლის ნოდება.



ნარმატებული ანსამბლი ხშირად მონაწილეობს ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ფესტივალ-კონკურსებში. „ჰერეთი“ აქტიურად გამოდის საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში: ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში: „კავკასია“, „შემოდგომის რიტმები“, „გაზაფხულის რიტმები“, „ვიცეკვოთ ქართულად“, „ბრავო მარ!“ და სხვა. წარმატებული იყო ანსამბლის გამოსვლები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც: 2006 წელს ანსამბლი „ჰერეთი“ იმყოფებოდა თურქეთში, საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე; წარმატებული იყო მათი საგასტროლო მოგზაურობა პოლო-

ნის და საატიო პრიზებით ხელ-დამშვენებული ბრუნდება. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, ქართული ქორეო-

გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს ბატონ კახას, ქალბატონ სოფიოსა და ანსამბლ „ჰერეთის“ ყველა მოცეკვა-



გრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის, ბატონი კახა და ქალბატონი სოფიო ჯილდოვდე-

ვს. დაე, ახალი 2020 წელი ყოფილიყოს მათთვის ბედნიერების, ჯანმრთელობის, წარმატებისა და წინსვლის მომტანი წელი.

ანსამბლი «ივერიელები»



ცნობილ პიროვნებას, რაჭული ფოლკლორის უბადლო

იღბალზე მოფიქრალ ადამიანს ბერაძეს დაბადებიდან 75-ე წელი შეუსრულდა.



ცეკვის სიყვარული მას იმთავითვე დაჰყვა და ამიტომაც სწავლა განაგრძო თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურის სასწავლებელში, იმავდროულად ცეკვა-ვდა სხვადასხვა თვითმოქმედ და სახელმწიფო ანსამბლებში. მალე რ. ბერაძე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. 1962 წელს იგი მუშაობას იწყებს ამბროლაურის კულტურის სახლში მოქმედ ანსამბლში ქორეოგრაფის თანამდებობაზე, სადაც კმნის ხალხური ცეკვის შემსწავლელ სტუდიას, პარალელურად კი ახლომდებარე სოფლებში მუშაობს ცეკვის მასწავლებლად. 1965 წლიდან რ. ბერაძეს იწვევენ ონის კულტურის სახლთან არსებულ ცეკვის ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფად. გადის წლები და რ. ბერაძე კვლავ საკუთარ რაიონს უბრუნდება. აქ მისი საქმიანობა მთელი ოთხი ათეული წლის მანძილზე გაგრძელდა და სათანადო წარმატებებითაც დაგვირგვინდა. მის მიერ შექმნილ ანსამბლებში აღიზარდა მოცეკვავეთა თაობები, რომლებიც დღესაც აგრძელებენ შემოქმედებით საქმიანობას. ბევრი მათგანი კი ქორეოგრაფ-პედაგოგის რანგში თვითონვე ხელმძღვანელობს სტუდიას, სკოლა-ანსამბლებს და ახალ თაობებსაც ზრდის.



მცოდნეს, ქორეოგრაფთა და მოცეკვავეთა თაობების აღმზრდელ პედაგოგ-ორგანიზატორს, პოეტს, მუსიკოსს, ქვეყნის ბედ-

რეზო ბერაძე არაერთგზის

გახდა რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი. ბატონი რეზოს საქმიანობაში განსაკუთრებულ ადგილზე დგას მისი დამოკიდებულება მშობლიურ კუთხეში შექმნილი ფოლკლორული მემკვიდრეობის მოძიების, მისთვის ხელახალი სიცოცხლის მინიჭების საკითხისადმი. სწორედ მის მიერ დამუშავდა და პოპულარული გახდა ცეკვები: „რაჭული ფერხული“, „რაშოვდა“, „მალა მთას მოდგა“ ამჟამად ქორეოგრაფი უდი-



დეს ძალისხმევას ახმარს ცეკვა „ბერქალურის“ აღდგენა-დამუშავებას. 2003 წელს რ. ბერაძე საცხო-

პყვა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ივერიელების“ ჩამოყალიბება. აღნიშნულმა ანსამბლმა დიდი წარმატებით მოია-

ბლ „ივერიელებს“ მიენიჭა „სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლის“ საპატიო წოდება, ხოლო მისი ხელმძღვანელი დაჯილდოვდა „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის“ საპატიო წოდებით. 2014 წელს „ივერიელებმა“ თურქეთის ქალაქ ტრაპიზონის ფესტივალზე მაცურებელს უჩვენეს სიუჟეტურად და იდეურად გამართული ცეკვა „ძმთა ხარ ძლიერი“. საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცეკვის შესრულებისათვის ანსამბლმა მიიღო „გრან პირი“, ხოლო საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი იგი გამოაცხადა წლის საუკეთესო ცეკვად.



ვრებლად გადმოდის ქ. თბილისში, თავდაპირველად იგი მუშაობას იწყებს 162-ე საჯარო სკოლაში ცეკვის მასწავლებლად. მალე აქვე აარსებს ქართული ხალხური ცეკვის სტუდიას, რომელსაც სამოედ წელიწადში მო-

რა როგორც ჩვენი, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ანსამბლს, როგორც ამას სპეციალისტები აღიარებენ, აქვს საკუთარი ხელწერა, სასცენო სტილი და მიმართულება. 2013 წელს ანსამ-

ბისი თეორიისა და პარტიკის კარგი მცოდნე. რ. ბერაძეს მინიჭებული აქვს თითქმის ყველა ის ჯილდო და წოდება, რომლითაც შეიძლება იამაყოს ფოლკლორისტი, პედაგოგმა და თაობების აღმზრდელმა პიროვნებამ. მინიჭებული აქვს „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის“ ორდენი. 2011 წელს რ. ბერაძემ, დამსახურებულად მიიღო „რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის“ წოდება, არის „ღირსების ორდენის“ კავალერი. მინიჭებული აქვს საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალეებისა“ და „ქორეოგრაფიის რაინდის“ ორდენები.

ბატონი რეზო არის ღირსეული პიროვნება, გუდასტვირის უბადლო ოსტატი. იგი მშობლებთან და კოლეგებთან სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით.



რეზო ზერაძე რაჭველი

ზეიმი რაჭაში

დათუნია სხირტლაძეს

სტვირის ჰანგი მოეფინა რაჭის ცას და რაჭის მიწას,
ჭუნირმაც არ დააყოვნა და სტვირუკას ბანი მისცა...
„შეგვენიოს ყოვლადმინდა, ხოტევი და ნიკორწმინდა“.
მთვარე როგორც ოქროს ჭალი აენტო და ამობრწყინდა.
ნათქვამია: „კვამლი – ცისკენ, ღვინო – ჭურში, ნერგი – მზისკენ“,
დღესაც თავი მოუყრიათ სანახშოზე გოგო-ბიჭებს.
გოგუნებს ბიჭუნებმა მოკრძალებით სტყორცნეს მზერა,
დაირაზე წიკპურტები აკაკანდა, როგორც სეტყვა:
გარმონს რა გააჩერებდა, ვით გაუძლოს ვნებას გულმა,
და... გახურდა სოფლის თავში „ტაში ბიჭო, გიორგუნა“,
„გოუსვი და გამოუსვი, ვითომც ჭიანჭურიაო,
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“...
ახლა, დოლიც გამოფხიზლდა, შემოსცხო და მერე – როგორ?!
– გადმოდი, შე მარტო კაბა! – შეუძახა ბიჭმა გოგოს.
„გასწი გარმონს, გარმონს, გარმონს, გაახურე დაირო!“
მერცხალივით შემოფრინდა ტანწერნეტა ნაირაო,
მოიქნია თეძო, კანჭი, წრეს გაუყვა კიდე-კიდე...
ბიჭუნებს კი ახრჩობთ ნერწყვი, ამ გოგუნას გადაიკიდე;
ერთი მისდევს კისრისტეხით, თან უღვაშზე ისვამს ხელებს,
თავგზა სულ მთლად არევი, ქალის ცეკვით განახლებს.
ბევრი სდია მწვერავით, აღარ შერჩა ძალა, ქანცი...
საიდან არ უტრიალა, ვერ დაჩაგრა ცეკვით მაინც...
ამ დროს გაჩნდა დათუნია, ჩაენაცვლა: – ტაში! ტაში!
მხარ-ბეჭულით შემოვარდა, დაენია გოგოს გზაში,
გასაქცევი აღარ მისცა, გაუსვა და... ბუქნიც უყო,
მერე, ისევ გზა მისცა და „ოღრო-ჩოღრო“ წამოუნყო...
მონყდა ტაში ნამქერივით, თითქოს ცაზე გაიღვავა,
ფეხზე წამომდგარი ხალხის გამხნევება არ ილევა:
„გოუსვი და გამოუსვი, უნდა დადგე ყირაზე,
აკოცე და შეგერგება, მამამისის ჯინაზე,
გოუს, გოუს, გოუს, გოუს! მიდი ჩემო ამბაკო,
ჩემი ცოლი, შენი ცოლი, ამ ცეკვის დროს რამ გაყო!...“
მთელი ღამე გუგუნებდა დაირა და „კარნა-კარნა“
სტვირი, დოლი, ჭიანჭური, სალამურიც ხანდახანა...
ყველაფერი რომ გადმოგცეთ, განა ასე იოლია?!
„ნაცვლია“ და „ოღრო-ჩოღრო“ არის რაჭის სიმფონია!

ცუყვა ფანიყაობა

ვუძღვნი საქართველოს სახალხო არტისტს ომარ მხეიძეს

მთვარის შუქს ადევნებული ქალი გამოჩნდა წყაროსთან,
აქ უნდა შეხედეს გულის სწორს, თავის სატრფოს და სალოცავს;
სიყვარულს ვინ გაქცევია, სულის წვასა და სატკივარს,
ის ერთნაირად იმონებს შევარდენსაც და არწივსაც.

მონატრებია ქალს საქმრო, მარტოდ დარჩენილს, ეულსა,
რომ მოუშუშო იარა, ომიდან დაბრუნებულსა,
ჩაიკრას გულში და იგრძნოს სითბო ვაჟკაცის ხელისა,
მაგრამ... ვაი, რომ სხვა დახვდა, უცნობი, სულ სხვა ფერისა...

ქალს წინ დაუდგა დამხვედური, ჯიუტი, ქორის მზერითა,
უბრძანებს, ცოლად რომ გაჰყვეს, ლამის მოზიდნოს თმებითა,
ყველა გზა გადაუკეტა და გააუვით მძვინვარებს...
ქალი შევლივით ცახცახებს, ცრემლი სდის, როგორც მდინარე...

მაგრამ, მოვარდა ვაჟკაცი, ვით ელვა, აბჯარასხმული,
ატყდა ფარების ჯახანი, ხმლით შებრძოლება ზღაპრული,
ნაპერწყლის წვიმა გახშირდა, ხანძარი ზეცას ედება,
მათი ბრძოლა ჰგავს ქარიშხალს, ცისა და მიწის კვეთებას!

არავითარი დანდობა... ერთმანეთს სჭამენ თვალებით,
ხმლებს გაადინეს ცეცხლი და შემოილენეს ფარები.
დამხვედურის სიკვდილს ნიშნავდა ხმალი ზეცისკენ ანვდილი,
ქართველ ქალს, მეომრებს შორის, რომ არ ჩაეგდო მანდილი...

დაიხ!.. შეჩერდა ლომგულა და უსწრაფესი თვალისა,
ცერის და მუხლის დიდოსტატს, ქნევაც სცოდნია ხმალისა,
ომარმა სძლია მეტოქეს, მაგრამ თვალი ჰკრა მანდილსა...
და... აქ დასრულდა ეს ცეკვაც... დიდება ჩვენი გვარისა!

წყაროსთან იქმული სადღევრძელი რაჭაში

ამხაპირის წყაროს შევსვამ,
ღვინოს ქვედა შავრისასო,
მოვიგონებ გარდაცვლილებს
ჩვენი მთის და ბარისასო...
ვისაც ვინრო ბილიკებით
ამ წყაროსთან ჩაუვლია,
ცივი წყალი პეშვით უსვამს,
ლოცვა გულში გაუვლია:
„გაუმარჯოს ჩვენს მიწა-წყალს,
უფლის ნაკურთხ მთას და მდელს.
ვინც ეს წყარო გააკეთა,
მონაგარი უდღევრძელს!“

თავის კუთხე ყველას უყვარს,
ყველა თავის ადგილს ჩემობს...
მაგრამ, რაჭას თუკი ნახავ,
თქვი, რომ იცნობ საქართველოს.

ლომი

ჭალარა ფაფარს ურხევედა ქარი,
ვილაცის თვალში უდარდელს ჰგავდა.
ერთი შეხედვით, მშვიდი და წყნარი,
რკინის გისოსებს თვალებით ხრავდა.
თუმც ჩაერაზათ ურდულით კარი,
თავისუფლების მაინცა სწამდა,
ტორებზე დინჯად დაედო თავი,
ლომი იყო და – მართლა ლომს ჰგავდა!

მარცხი

მარტოობა არ გეგონოს სასჯელი, –
ბრძანებაც და აღსრულებაც შენია...
ზიხარ მარტო და არავის არ ელი,
ზიხარ შენთვის და არსად არ გელიან.

შენს თავს, მხოლოდ შენ თუ უსვამ შეკითხვებს,
გიხარია, – „კაცია და გუნება...“
შენს კითხვებზე, პასუხიც თუ შენ გინევს,
არის შენთვის სრული თავისუფლება!

ბატონობენ უხმაურო წამები,
შენს სულს, ერთ დროს,
ბობოქარს და ფეთიანს,
მშვიდად ზიხარ და... არავის არ ელი,
რადგან შენთვის მარტოობა ღმერთია!

რიონივით, აქ ვინყები,
და აქვე დავიღვევი,
სხვის ბალნარებს მირჩევნია
ჩემი მთების ყვავილები.

პოეზიის მაღლით დალილს
ქვეყნის საქმეც მაბარია...
ლუკმა პურს რომ ეძებს კაცი,
ლექის წერა რავარია,
მაგრამ ჩემი სიტყვა მაინც
შხამით შეუნამლავია...

რაც არ უნდა გამიჭირდეს,
სხვის ბაღში არ გადავძვრები,
არც არავის ვესესხები,
არც არავის ვემსგავსები,
ჩემთვის ამოჭრილი ორმო
ჩემით არის შესავსები...

სხვას რომ რითმა ავანაპნო,
უნიჭო ვარ ამ საქმეში,
მეფე ერთი იყო, მაგრამ
სხვაც ცხოვრობდა სასახლეში.

სიყვარულის მელოდია

ზღვის ნაპირზე, ქალი ბროლში ნაკვეთი,
ცას შესტრფოდა, დაისი რომ დგებოდა;
მზე არასდროს არ ენახა ასეთი,
ქალს კი... თავის სილამაზის სჯეროდა...
მოცურავდა თეთრი ნავი ნელი სვლით,
თითქოს ნაპირს ჩუმად ეპარებოდა:
ზღვის ნაპირზე იდგა ქალი თავისთვის,
და ზღვას ტკბილი სიზმარით შეგნოდა.
თეთრი სახით, მხრებზე – დალაღფენილი,
ბაგე ატმის კოკრის, შველისფეხება...
ზღვის ნაპირზე ღმერთის ნებით შექმნილი,
იდგა ქალი – დედამინის მშვენება!
მოშვილდოდა წარბ-წამწამთა კრებული,
მის თვალებში ვნების ცეცხლი ელავდა,
შიშველ მკერდზე მთლად შიშველი ძუძუ კი
კაცს გახდიდა ჯაჭვით დასაბმელადა.
არსად ჩანდა ტალღის ერთი ნვეთიც კი,
დასდებოდა ზღვასაც ქალის სინაზე;
ვცახცახებდი სუფთა პოინტერივით,
ამ ლამაზი ქანდაკების წინაშე...
გადავწყვიტე მისი ახლოს გაცნობა,
მაგრამ ქალი უკვე ნაეში ჯდებოდა,
ჰორიზონტზე მზე ბავშვივით ანცობდა,
ქალის ეშხით ჩასვლა ეზარებოდა...
მეხდაცემულს ვგავდი ალბათ იმ წამში,
ჩემს თავს რაღაც უჩვეულო ხდებოდა...
წამოვედი... პარკში თეთრი გიტარით
ერთი ბიჭი სიყვარულზე მღეროდა...



ქართული ჯიმის ბედელი,
ქართული სულის მხსნელი,
ჩვენი შვილების აკვანი
ანსამბლი „ილიელი“
მ.ენუქიძე

ჩვენი გაზეთი აგრძელებს საუკეთესო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების წარდგენას მკითხველის წინაშე. ამ წოდებში გაგაცნობთ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ილიელს“ და მის ახალგაზრდა და ნიჭიერ ხელმძღვანელს კახაბერ ენუქიძეს.

კახაბერ ენუქიძე დაიბადა ლაგოდეხში. 1981-82 წლებში დაამთავრა ლაგოდეხის რიონის სო-

ნების შემდეგ, 2012 წელს, აყალიბებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიას „ილიელი“, რომლის ბაზაზეც, ამავე სახელწოდების ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ჩამოყალიბდა. სტუდიას სახელიც შესაფერისი შეურჩიეს – ალაზნის მარცხენა სანაპიროს სოფლები დიდი ქართველი მწერ-

«ილიელი»



ფელ ლელიანის საჯარო სკოლა. ქართული ხალხური ცეკვის სიყვარულს ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში ეზიარა. 1994-97 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურის სახელმწიფო კოლეჯში ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე. სწავლის პარალელურად ცეკვავდა შშს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მხედრულში“. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ სოფელში პედაგოგ-ქორეოგრაფად იწყებს მუშაობას. პარალელურად, ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ილიელი“.

2003 წლიდან, კახაბერ ენუქიძე საბერძნეთში გადადის საცხოვრებლად. იმ პერიოდში, კუნძულ კვიპროსზე, ქ. ლიმასოლში ქართული სათვისტომოს ინიციატივით ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“, რომლის ქორეოგრაფად, 2011 წლამდე ბატონი კახაბერი გვევლინება. სამშობლოში დაბრუ-

ლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით არის დასახლებული და სწორედ

ვილი. ქალბატონი ეკაც ბავშვობიდანვე ეზიარა ქართული ცეკვის სიყვარულს. ცეკვა პირველად



მისი სახელის უკვდავსაყოფად ანსამბლს „ილიელი“ დაერქვა. ბატონ კახაბერს, ანსამბლის დაარსების დღიდან ერთგულად უდგას გვერდში და მოზარდებს ქართული ცეკვის სიყვარულს მასთან ერთად უნერგავს ქორეოგრაფი ეკატერინე ხოსროაშვი-

თბილისში, პიონერთა სასახლეში

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სტუდიაში, გარდა ცეკვი-

გულიკო ჭოხონელიძის პედაგოგობით დაიწყო; ასევე ცეკვავდა ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ცეროდენაში“; პროფკავშირების კულტურის სასახლესთან არსებულ სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლში სახელოვან რობერტ დარახველიძესთან. ეკა ხოსროაშვილმა ნითელ დიპლომზე დაამთავრა „სუხიშვილების“ ანსამბლთან არსებული სკოლა-სტუდიის ხუთწლიანი კურსი ნინო კირვალიძის პედაგოგობით. გარკვეულ წლებში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანშიც მუშაობდა ქორეოგრაფად. 2012 წლიდან კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კახაბერ ენუქიძესთან ერთად სათავეში უდგება სტუდია „ილიელს“.

სა, მოზარდები ეუფლებიან ქართული ფოლკლორისა და ხალხური საკრავების კურსს, რომელსაც გამოცდილი და ნიჭიერი პედაგოგი თა დევდარიძე ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდა ქორეოგრაფების დიდი ძალისხმევით, „ილიელი“ დღეს უკვე წარმატებული და თვალსაჩინო კოლექტივია. ანსამბლი ხშირად იღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტსა თუ ქვეყნის შიგნით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში. ასევე აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ფესტივალებში: „შემოდგომის რიტმები“, „კავკასია“ (2016-17-18), ტრადიციულ ზამთრის ფესტივალში „ბორჯომ-ბაკურიანი“, „ვიცეკვოთ ქართულად“ და სხვა.

ბატონ კახაბერსა და ქალბატონ ეკატერინეს სამომავლო გეგმები უკვე დასახული აქვთ – სამომავლოდ განზრახული აქვთ ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს ანსამბლ „ილიელის“ ხელმძღვანელებსა და მოცეკვავეებს. დაე, ახალი 2020 წელი ყოფილიყოს მათთვის მრავალი ახალი წარმატებისა და სიხარულის მომტანი.



ავთანდილ სურმანიძე – უემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო



ქართული ხალხური საცეკვაო კულტურის ვრცელი სამყარო, უპირველეს ყოვლისა, ღირსეულ პიროვნებათა მხრებზე დგას. ადვილი როდია, ხალხური საცეკვაო ხელოვნებისადმი სამსახური, მას დიდ შრომასთან ერთად თანდაყოლილი ნიჭი და ძლიერი სიყვარულიც სჭირდება. ქართული ცეკვის მარადიულობა რჩეულთა მონაპოვარი და ღვანლია. ღვანლის საფასური კი ხალხის სიყვარულია. ამ სიყვარულის დასტური იყო ქართული ქორეოგრაფიის მოამბის, ავთან-

ცილობის ქორეოგრაფებმა: ზურაბ სურმანიძემ, ენვერ ხალვაშმა და თოფუზ გაბაიძემ, რომლებმაც თავიდანვე აღმოაჩინეს მასში ქართული ცეკვებისადმი მიდრეკილება და გზა დაულოცეს შემოქმედებით ასპარეზზე. არც შემცდარან, ავთანდილ სურმანიძე დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ჩაერთო ქორეოგრაფიულ ცხოვრებაში, შეიცნო და გაითავისა სილამაზე და სიმდიდრე ქართული საცეკვაო ხელოვნებისა. იგი აყალიბებს ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, პარალელურად ცეკვავს აჭარის სახელმწიფო ანსამბლში, აჭარპროფკავშირისა და ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ანსამბლებში. 1974 წლიდან მუშაობას აგრძელებს ქობულეთის სოფელ ცეცხლაურის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლში მთავარ ქორეოგრაფად. ამავდროულად ცეცხლაურის კულტურის სახლის ბაზაზე ჩამოაყალიბა ბავშვთა სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდია, რომელშიც 150-მდე მოსწავლე იყო გაერთიანებული. სტუდია სახელმწიფო დაფინანსებით ფუნქციონირებდა და სამი თაობა აზიარა საცეკვაო ხელოვნ-

და მრავალფეროვანი რეპერტუარითა და გემოვნებით მორგებული ნაციონალური კოსტიუმებით. სტუდიის დაფორტიანებულმა აღსაზრდელებმა, შემდეგ სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ანსამ-

ბლ ქობულეთელი“, ამავე წელს – სოფელ დაგვას საპატიო მოქალაქე. 2016 წელს კი დააჯილდოვეს საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალეების ორდენით“. ქართულ საცეკვაო ხე-

ლდი სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურება მომავალი თაობების აღზრდის საქმეს.

საიუბილეო საღამოს, ავთანდილ სურმანიძის კოლეგებთან, მეგობრებთან, მოსწავლეებთან,



ბლებში გააგრძელეს მოღვაწეობა. ზოგიერთმა მათგანმა ქართული ცეკვა მომავალ პროფესიად აირჩია და დღესაც დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საშვილიშვილო საქმეს. სხვადასხვა დროს, ავთანდილ სურმანიძის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებში. ანსამბლების შთამბეჭდავი გამოსვლები აღაფრთოვანებდა მაყურებელს, რომლებთანაც მოცეკვავეებს უკვდავი სული, გენი, ჯიშა, ქართული სილამაზე და ნიჭიერება ჩაჰქონდათ. სამადლობელი კი მაყურებლის ოვაციები, უსაზღვრო სიყვარული, დამსახურებული პრიზები და ჯილდოები იყო.

ლოვნებაზე, მომავალ თაობებზე ფიქრსა და ზრუნვაში გაირბინა წლებმა, თმაში ჭაღარა შეეპარა ბატონ ავთანდილს, მაგრამ ღვანლმოსილი ქორეოგრაფი დღესაც ახალგაზრდული ენერჯით, დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს, ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულ განყოფილებას, არის საქართველოსა და აჭარის ქორეოგრაფთა კავშირის საპატიო წევრი, მუნიციპალიტეტის

ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე; აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი მადონა თევზაძე; საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რეზო ჭანიშვილი; აჭარის ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯ-



დილ სურმანიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც ქობულეთის კულტურის სახლში გაიმართა, სადაც საზოგადოებამ მადლიერება, უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ღვანლმოსილი ქორეოგრაფის მიმართ, რომელმაც თავისი შთამბეჭდავი და ლამაზი ხელოვნებით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში. საქართველოსა და აჭარის ქორეოგრაფთა კავშირის საპატიო წევრი, ქობულეთის ქორეოგრაფთა გაერთიანების ხელმძღვანელი, რჩეული ქობულეთელი, დაგვას საპატიო მოქალაქე, აჭარის ა/რ დამსახურებული არტისტი, „ბრწყინვალეების“ ორდენის კავალერი და კიდევ მრავალი საპატიო ტიტულის მფლობელი სხალთა-ხიხანის ულამაზესი ხეობის ისტორიულ სოფელ ვერნებში დაიბადა. იქ გაატარა თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ულამაზესი წლები. აქ აზიარეს ქართული ცეკვების მადლსა და ხიბლს

ბის საიდუმლოებას. წლების განმავლობაში, ავთანდილ სურმანიძე ქობულეთის №3, №4, №7, დაგვას, ბობოყვათის, ციხისძირის, ლელვას საჯარო სკოლებში, ხოლო 1974-1979 წლებში ქობულეთის პიონერთა სახლში მუშაობდა ქორეოგრაფად. ავთანდილ სურმანიძის ხელმძღვანელობით შექმნილი ანსამბლები დიდ მონონებას იმსახურებ-

ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ავთანდილ სურმანიძე არაერთხელაა დაჯილდოებული სხვადასხვა ჯილდოთი და საპატიო სიგელით; 1990 წელს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის დააჯილდოვეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. 1991 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება; 2013 წელს – აჭარის დამსახურებული ქორეოგრაფის წოდება; 2014 წელს გახდა „რჩეუ-



ქორეოგრაფთა კავშირის ხელმძღვანელი, წარმატებული დამდგმელ-ქორეოგრაფი და პედაგოგ-შემოქმედი. მისი ქორეოგრაფიული განათლება, ქორეოგრაფიული ხედევა, დამოუკიდებელი სტილი და ხელწერა, მის მიერ დამუშავებული ცეკვები, სადადგმო კომპოზიციები, ყოველთვის იყო განსხვავებული და გამორჩეული. მრავალი თაობის აღზრდელი დღესაც გულმოდგინედ,

დომარე, აჭარის დამსახურებული არტისტი გერონტი ჭელიძე; მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები და ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ქობულეთი“, „ოპოი ნანა“, „მხედრული“, „ჩაქურა“, „საუნჯე“.

ავთანდილ სურმანიძეს, საიუბილეო საღამოზე, ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა „დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგის“ საპატიო წოდება.

სრულიად საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოების სახელით გვსურს გამოვხატოთ უსაზღვრო სიყვარული, მადლიერება და პატივისცემა დიდი ხელოვანის, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და ქართული ქორეოგრაფიის მოამბის ავთანდილ სურმანიძის მიმართ, ვუსურვოთ ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე, ახალ-ახალი წარმატებები და გამარჯვებები უძველესი და უმშვენიერესი ხალხური შემოქმედების გზაზე, ჩვენი ქვეყნისა და კუთხის საკეთილდღეოდ და საამაყოდ.





Mob: (593)148326; 599556928
Tel-Fax: (+995 32) 354841
www.qor.ge. E-mail: murman_gtu@mail;
qor.union@gmail.com.

კულტურის ინსტიტუტი



ჯერჯიკის ინსტიტუტი ყოველწლიურად აგვიძღვრებს მიღებას ქორეოგრაფ-ჩემპიონის მომზადებისა და გადამზადების ერთწლიან და ორწლიან კურსზე. ჯგუფში ჩაიხიფება ხდება გასაუბრების გზით. სწავლის მსუხვევებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა საბავშვო, ახალგაზრდული, სამოყვარულო ან ჯიქვე ჰიმოესიურ ანსამბლებში მუშაობის (ცეკვის) პრაქტიკული გამოცდილება.

სწავლებას აქვს დასწრებულ-დაუსწრებელი ფორმა. წლის განმავლობაში მსმენელებს ეკითხებათ თეორიული ლექციები და უტარებთ პრაქტიკული მეცადინეობები. ამის შემდეგ ისინი იღებენ ინდივიდუალური დავალებებს, ხომელსაც მომდევნო შეხვედრაზე შეამოწმებს ჰიმოესიონალ-ქორეოგრაფთა სპეციალური ჯგუფი.

ინსტიტუტის მსმენელებს ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებენ ქორეოგრაფიული ხელოვნების ცნობილი მოსტატები, პედაგოგისა და ქორეოლოგის ალიახეული სპეციალისტები.

კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები იღებენ სპეციალურ სერტიფიკატს (დიპლომს) ქორეოგრაფ-ჩემპიონის უკიდურესი მითითებით, ასევე გაიცემა UNESCO CID სერტიფიკატი. აღნიშნული დოკუმენტი ინსტიტუტის კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს საქმიანობა გააგრძელოს უცხოეთში მოქმედ ანსამბლებსა და შემოქმედებით ჯგუფებში.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია.

ინსტიტუტმა დღემდე თავისი წინამძღვრული მიზანმიმართული დონეზე უკვე მოახსრმა ახალგაზრდა სათანადო უკიდურესი მქონე ქორეოგრაფ-ჩემპიონის გამოშვება, ხომლებიც ნახმატებით საქმიანობენ სხვადასხვა საბავშვო თუ ჰიმოესიურ ანსამბლებში.

The Institute of Culture continues admission of students to the one and two year programs for Choreographer-Teacher training and re-training courses.

Students will be accepted to the groups based on interviews. Applicants must have practical experience (dance) in different children's, youth, amateur or professional ensembles. Courses are available for attended and distance learning.

During a year students will listen to theoretical lectures and go through practical exercises. After that they receive individual tasks, which will be evaluated at the next lesson by the group of professional choreographers.

Institute students will be taught by the prominent masters of choreographic art, specialists in pedagogic and choreology.


Upon graduation students will receive special diplomas of choreographer-teachers qualification and will also receive the CID UNESCO Certificate. The aforementioned Certificate gives the right to the Institute graduates to continue work in ensembles and creative groups operating abroad.

Studying in the Institute is paid.

The Institute (in the form of preceding organization) has already taught many qualified choreographer-teachers, who successfully work in different children's and professional ensembles.



პასუხისმგებელი კითხვები



უამრავი კონცერტის, ფესტივალის, საანგარიშო ღონისძიებისა და სხვა მრავალი გამოსვლის ნახვის შემდეგ გინდობა კითხვა საკუთარ თავთან: – საით მივყავარ ქართული ცეკვა? ვფიქრობ და პასუხი ვერ მომიძებნია. ჩემი აზრით, ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და მათმა ხელმძღვანელებმა, ხელი უნდა აიღონ სახელმწიფო ანსამბლების რეპერტუარის გადმოღობაზე. ვადროვით ბავშვებს ბავშვობა და ვაცეკვოთ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ქართულად.

დიდი ხანია მანვალეს აზრი იმის თაობაზე თუ რატომ არ გვთვლიან ქორეოგრაფ-პედაგოგებს განათლების სისტემის მუშაკებად, რატომ არ ეთვლება ქორეოგრაფს თავისი ნამუშევარი წლები პედაგოგიურ სტაჟად? კი მაგრამ, ეს ქორეოგრაფები ბავშვებთან ხომ მუშაობენ. სად არის ადამიანის უფლებათა დაცვა, პროფესიულ უფლებათა დაცვა, თუ ეს ყველაფერი ქალაქში რჩება და აქ მთავრდება ყველაფერი?

ბავშვთა უფლებების დაცვა ყველას ვალია და არა მარტო პედაგოგების. წარმოგიდგინათ რა კოლოსალური ფიზიკურ-გონივრული დატვირთვა მოდის ქორეოგრაფებზე? ქალბატონებო და ბატონებო, ვისაც ხელგენივებით ამ საქმის მოგვარება, სჯობს დაფიქრდეთ და დაიცვათ ქორეოგრაფ-პედაგოგის უფლებები, მათზე ისე უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო, როგორც ყველა იმ პედაგოგზე, რომლებიც სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს ასწავლიან.

ქართული ცეკვის პედაგოგები გარდა პლასტიკისა და საცეკვო უნარ-ჩვევებისა, ასწავლიან ქვეყნისა და სცენურ კულტურას, ქართული ცეკვისა და არა მარტო ცეკვის ისტორიას, გოგონასა და ვაჟის დამოკიდებულებას, ჯანსაღ ტრადიციულ წესს, ვაჟკაცობას, მეგობრობას, სამშობლოს სიყვარულს.

ცოტაა მეგობრებო? მაშ კეისარს კეისრისა, ღირსეულს ღირსეულად მოვეპყრათ და მომავალი თაობაც ღირსეულად დაგვიფასებს.

ი. ტორაძე, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი „ღირსების“ ორდენის კავალერი

საქართველოს ქორეოგრაფია

ISSN 2346-8041



მის: თბილისი, ც. დავით აღმაშენებლის ქ. №26
ტელ.: 599 90 75 65
საქართველოს ქორეოგრაფია
www.qor.ge

სარედაქციო საბჭო:

რეზო ბალანჩივაძე
რეზო ჭანიშვილი,
იური ტორაძე,
კახაბერ მარკოიშვილი,
თენგიზ უთმელიძე,
უჩა დვალისძე,
ზაურ ლაზიშვილი,
მურმან გამისონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციისთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი: ოლეგ ალავიძე

პასუხისმგებელი მდივანი:
მანანა უშიკიშვილი

თანადამფინანსებელი –
ქართული ქორეოგრაფიის
ეროვნული ცენტრი:
ზაზა მჭავანაძე